



# საქართველო

17675-01-2-202605291727



## საგარეო საქმეთა სამინისტრო

№ 01/17675  
29/05/2026

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსს  
ბატონ ლევან ჟორჟოლიანს

ბატონო ლევან,

გაცნობებთ, რომ 2026 წლის 22 აპრილს, ქ. პეკინში, ხელი მოეწერა „საქართველოს მთავრობასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ“ შეთანხმებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე ოქმს.

„საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, წარმოდგენილი ოქმი ექვემდებარება საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებას.

„საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტში რატიფიცირებისათვის წარსადგენად, გიგზავნით ხსენებული ოქმის დედნების ასლებს ქართულ, ჩინურ და ინგლისურ ენებზე, შეთანხმების ფურცელს, განმარტებით ბარათს, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და სხვა შესაბამისი უწყებების დასკვნებს.

ოქმის პარლამენტში წარდგენის შემთხვევაში, მიზანშეწონილია, პარლამენტის საკომიტეტო მოსმენებსა და პლენარულ სხდომებზე მომხსენებლად დაინიშნოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე - ბატონო გენადი არველაძე.

- დანართი:
- ოქმის დედნების ასლები;
  - მთავრობის №708 განკარგულება;
  - პრემიერ-მინისტრის №48 ბრძანება;
  - უწყებების დასკვნები;
  - შეთანხმების ფურცელი;
  - განმარტებითი ბარათი;
  - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წერილი.  
(ჯამი: 118 გვერდი.)







**ეკონომიკისა და მდგრადი  
განვითარების სამინისტრო**

გ. გამსახურდიას სანაპირო №1  
0108 თბილისი, საქართველო  
+995 32 299 11 11  
ministry@moesd.gov.ge

22 / მაისი / 2026 წ.



KA020167442499726

№ 07/3461

საგარეო საქმეთა სამინისტროს

როგორც თქვენთვის ცნობილია, მიმდინარე წლის 22 აპრილს ხელი მოეწერა „საქართველოს მთავრობასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ“ შეთანხმებაში ცვლილებების შეტანის ოქმს.


ცვლილებების ოქმის ძალაში შესვლის მიზნით გიგზავნით ხელმოწერილი დოკუმენტების დედნებს სამ ენაზე.

ამასთან, პარლამენტის საკომიტეტო მოსმენებსა და პლენარულ სხდომაზე მომხსენებელ პირად წარმოგიდგინებ ჩემს კანდიდატურას.

დანართი: 48 ფურცელი.

მინისტრის მოადგილე

ხელმოწერილია  
შტამდასმულია  
ელექტრონულად  
გენადი არველაძე





**იუსტიციის  
სამინისტრო**

ვახტანგ გორგასლის ქუჩა № 24ა  
0114 თბილისი, საქართველო  
+995 32 2 405 087  
info@justice.gov.ge

09 / მარტი / 2026 წ.



KA010146958357326


№ 2667

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2026 წლის 26 თებერვლის № 01/6179 წერილით წარმოდგენილი „საქართველოს მთავრობასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ“ შეთანხმებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე ოქმის პროექტი, რომელთან დაკავშირებითაც გაცნობებთ, რომ იუსტიციის სამინისტროს, კომპეტენციის ფარგლებში, სამართლებრივი ხასიათის შენიშვნები არ აქვს.

ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ „საქართველოს მთავრობასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ“ შეთანხმება რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ (2017 წლის 2 ნოემბრის დადგენილება № 1349-ის), წარმოდგენილი ცვლილებების ძალაში შესვლა, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, ასევე, უნდა განხორციელდეს საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირების გზით.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველი  
მოადგილე

ხელმოწერილია/  
შტამგდასმულია   
ელექტრონულად

ბეჟა ძამაშვილი



# საქართველო

9184-01-2-202603241616



## საგარეო საქმეთა სამინისტრო

№ 01/9184  
24/03/2026

### დასკვნა

„საქართველოს მთავრობასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის  
თავისუფალი ვაჭრობის შესახებ“ შეთანხმებაში ცვლილებების შეტანის ოქმის  
თაობაზე

სამინისტრომ განიხილა „საქართველოს მთავრობასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ“ შეთანხმებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე ოქმის პროექტი და ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური პრიორიტეტების გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიაჩნია წარმოდგენილი ოქმის დადება.

პატივისცემით,  
ხათუნა თოთლაძე

მინისტრის მოადგილე





**განათლების, მეცნიერებისა და  
ახალგაზრდობის სამინისტრო**

დირექტორი უზნაძის N52  
0102 თბილისი, საქართველო  
+995 32 2200 220  
pr@mes.gov.ge

27/02/2026



MES 4 26 0000236758

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს  
საერთაშორისო სამართლებრივი დეპარტამენტის უფროსს,  
**ბატონ მიხეილ კეკელიძეს**

**ბატონო მიხეილ,**

თქვენი 2026 წლის 26 თებერვლის №01/6179 წერილის პასუხად, რომელიც ეხება „საქართველოს მთავრობასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ“ 2017 წლის 13 მაისის შეთანხმებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე ოქმის პროექტს ქართულ და ინგლისურ ენებზე, მის განმარტებით ბარათთან ერთად, გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს შენიშვნები და წინადადებები არ გააჩნია.

პატივისცემით,

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და  
ახალგაზრდობის სამინისტრო  
საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი  
დეპარტამენტის უფროსის ფუნქციონირება შემსრულებელი  
მოწონელიძე ქეთევანი





**ოკუპირებული ტერიტორიებიდან  
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა  
და სოციალური დაცვის სამინისტრო**

18 მარტი 2026

აკაკი წერეთლის გამზ. N144  
0119 თბილისი, საქართველო  
1505 ; (+995 32) 2510011  
info@moh.gov.ge



საგარეო საქმეთა სამინისტროს  
საერთაშორისო სამართლებრივი  
დეპარტამენტის უფროსს  
ბატონ მიხეილ კეკელიძეს

ბატონო მიხეილ,

თქვენი 2026 წლის 26 თებერვლის №01/6179 წერილის პასუხად, რომელიც ეხება „საქართველოს მთავრობასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ“ შეთანხმებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე ოქმის პროექტის განხილვის საკითხს, გაცნობებთ, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში წარსადგენი შენიშვნები არ გააჩნია.

პატივისცემით,

დეპარტამენტის უფროსი, პირველადი  
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი  
ლელა სულაბერიძე

ხელმოწერილია/  
შტამპდასმულია  
ელექტრონულად





საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA

11/03/2026



MIA 1 26 00857701

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს  
საერთაშორისო სამართლებრივი დეპარტამენტის უფროსს  
ბატონ მიხეილ კეკელიძეს

ბატონო მიხეილ,

თქვენი № 01/6179 წერილის პასუხად, რომლითაც წარმოდგენილია "საქართველოს მთავრობასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ" შეთანხმებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე ოქმის პროექტი, გაცნობებთ, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, კომპეტენციის ფარგლებში, აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გააჩნია.

პატივისცემით,

საერთაშორისო ურთიერთობების  
დეპარტამენტის დირექტორი  
სოფიო იმერლიშვილი





**გარემოს დაცვისა და სოფლის  
მეურნეობის სამინისტრო**

16 მარტი 2026

მარშალ გელოვანის გამზ. N34  
0159 თბილისი, საქართველო  
+995 32 237 80 13  
+995 32 237 80 44  
info@mepa.gov.ge



N 1580/01

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს  
**ქალბატონ ხათუნა თოთლაძეს**

ქალბატონო ხათუნა,

თქვენი 2026 წლის 26 თებერვლის №01/6179 წერილის პასუხად, გიგზავნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში არსებულ შენიშვნებსა და წინადადებებს „საქართველოს მთავრობასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ“ ცვლილებების შეტანის თაობაზე ოქმის პროექტთან დაკავშირებით:


- მე-5 თავის მთელს ტექსტში „სანიტარულის“ და „ფიტოსანიტარულის“ ნაცვლად დაიწეროს „სანიტარიული“ და „ფიტოსანიტარიული“;
- მე-5 თავის მთელს ტექსტში - „ამ“ შეიცვალოს და დაიწეროს „წინამდებარე“. ამავე მუხლის „ა“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: *„მხარეთა შორის ვაჭრობის ხელშეწყობა, ამავდროულად, თავიანთ ტერიტორიებზე ადამიანის, ცხოველების ან მცენარეების სიცოცხლისა ან ჯანმრთელობის დაცვა“*;
- მუხლი 5.1 მიზნების „დ“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: *„ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (WTO) შეთანხმების 1A დანართით განსაზღვრული „სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ზომების გამოყენების შესახებ“ შეთანხმების (შემდგომში წოდებული როგორც „SPS შეთანხმება“) პრინციპების იმპლემენტაციის ხელშეწყობა“*;
- 5.1 მუხლის პუნქტები დაინომროს ქართული ალფაბეტით;
- 5.2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი ტექსტით: *„წინამდებარე თავი გამოიყენება მხარეების მიერ განხორციელებულ ყველა SPS ზომებთან მიმართებით, რომელმაც შესაძლოა პირდაპირ ან არაპირდაპირ გავლენა იქონიოს მხარეებს შორის საქონლით ვაჭრობაზე“*;
- 5.3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: *„წინამდებარე თავის მიზნებისათვის გამოიყენება SPS შეთანხმების A დანართში მოცემული განსაზღვრებები“*;

- 5.4 მუხლის სათაური შეიცვალოს და დაიწეროს: „SPS შეთანხმების დადასტურება“; ხოლო ტექსტი შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს - „მხარეები ადასტურებენ თავიანთ უფლებებსა და ვალდებულებებს ერთმანეთის მიმართ SPS შეთანხმების შესაბამისად“;
- 5.8 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ექსპორტიორი მხარე უზრუნველყოფს საჭირო ინფორმაციის მიწოდებას, რათა იმპორტიორმა მხარემ შეძლოს ეკვივალენტობის შეფასების დაწყება. შეფასების დაწყებისთანავე, იმპორტიორი მხარე მოთხოვნის შემთხვევაში და გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე განმარტავს პროცესს და წარმოადგენს ეკვივალენტობის განსაზღვრის გეგმის შესახებ ინფორმაციას“;
- 5.8 მუხლის მე-5 პუნქტი დაიწეროს შემდეგი რედაქციით: „ერთი მხარის მიერ მეორე მხარის მოთხოვნის განხილვა, კონკრეტულ პროდუქტთან ან პროდუქტების ჯგუფთან მიმართებით მისი ზომების ეკვივალენტობის აღიარების შესახებ, თავისთავად არ უნდა გახდეს აღნიშნული პროდუქტის ან პროდუქტების მიმდინარე იმპორტის შეწყვეტის ან შეჩერების მიზეზი“;
- მუხლი 5.10 -ის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „მხარეები თანხმდებიან რომ გააძლიერონ ტექნიკური თანამშრომლობა SPS საკითხებზე, მათ შორის, ინფორმაციის გაცვლა სანიტარიულ და ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის სანიტარიული და/ან ფიტოსანიტარიული იმპორტის მოთხოვნების შესახებ, მხარეთა მარეგულირებელი სისტემების ურთიერთგაგების გაღრმავებისა და ერთმანეთის ბაზრებზე წვდომის ხელშეწყობის მიზნით“.
- მუხლი 5.11 დაიწეროს შემდეგი რედაქციით: „თუ რომელიმე მხარე მიიჩნევს, რომ სანიტარიული ან ფიტოსანიტარიული ღონისძიება გავლენას ახდენს მის ვაჭრობაზე მეორე მხარესთან, მას შეუძლია მოითხოვოს მეორე მხარესთან ტექნიკური კონსულტაციების გამართვა, რათა მოგვარდეს კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით არსებული ნებისმიერი გაუგებრობა, რომელიც წარმოიშობა აღნიშნული სანიტარიული ან ფიტოსანიტარიული ზომის გამოყენების შედეგად. მოთხოვნის მიმღები მხარე ვალდებულია დაუყოვნებლივ უპასუხოს ასეთი კონსულტაციის ნებისმიერ გონივრულ მოთხოვნას. კონსულტაციაში მონაწილე მხარეები ყველა შესაძლო ძალისხმევას გამოიყენებენ ორმხრივად დამაკმაყოფილებელი გადაწყვეტილების მისაღებად“;
- მუხლი 5.12 -ის პირველი პუნქტი დაიწეროს შემდეგნაირად: „წინამდებარე თავის ეფექტური განხორციელებისა და ფუნქციონირების მიზნით, მხარეები ქმნიან სანიტარიულ და ფიტოსანიტარიულ საკითხთა ქვეკომიტეტს (შემდგომში „SPS ქვეკომიტეტი“), რომელიც შედგება მხარეთა შესაბამისი სამთავრობო ორგანოების წარმომადგენლებისგან, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან სანიტარიულ და ფიტოსანიტარიულ ზომებზე“; ამავე მუხლის მეორე პუნქტი და ჩამოყალიბდეს: „SPS ქვეკომიტეტის ფუნქციებია“;
- მუხლი 5.12 -ის მეორე პუნქტის „ე“ ქვეპუნქტს დაემატოს ინგლისური აბრევიატურა „თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება (FTA)“;
- მუხლი 5.12 -ს მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „SPS ქვეკომიტეტი თანათავმჯდომარეობს და იკრიბება წელიწადში ერთხელ, თუ მხარეთა მიერ სხვა რამ არ არის შეთანხმებული. SPS ქვეკომიტეტს შეუძლია შეხვედრა პირადად ჩაატაროს ან ურთიერთშეთანხმებული ნებისმიერი სხვა საშუალებით“;
- მუხლი 5.13 - ის პირველი პუნქტის “ა” ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „საქართველოს შემთხვევაში, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სურსათის ეროვნული სააგენტოს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი ან მისი სამართალმემკვიდრე; და“

- მუხლი 5.13 - ის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „ჩინეთის შემთხვევაში, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საბაჟოს გენერალური ადმინისტრაციის საერთაშორისო თანამშრომლობის დეპარტამენტი ან მისი სამართალმემკვიდრე“;
- მუხლი 5.13 -ის მე-2 პუნქტი დაიწეროს შემდეგი რედაქციით: „თითოეული მხარე მეორე მხარეს მიაწვდის მის მიერ დანიშნული საკონტაქტო ორგანოს სახელს და აღნიშნულ ორგანიზაციაში შესაბამისი საკონტაქტო პირების ინფორმაციას, მათ შორის, ტელეფონის ნომერი, ფაქსიმილე, ელ-ფოსტა და ნებისმიერი სხვა დეტალი“.

პატივისცემით,

ლაშა დოლიძე



მინისტრის მოადგილე

<https://edocument.ge/mea/public/1580-01-2-202603161711>





**ფინანსთა  
სამინისტრო**

24 მარტი 2026

გორგასლის ქუჩა N16  
0114 თბილისი, საქართველო  
+995 32 226 14 44  
info@mof.ge



N 08-03/20561

**საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს**

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ განიხილა თქვენი 2026 წლის 26 თებერვლის N01/6179 წერილით წარმოდგენილი „საქართველოს მთავრობასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ“ შეთანხმებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე ოქმის პროექტი და განობებთ, რომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია:

პროექტის მე-4 დანართის (ახალი თავი 19 (ელექტრონული კომერცია)) 19.3 მუხლში გამოყენებული ტერმინი „ელექტრონული გადარიცხვები“ შესაბამისობაში მოვიდეს ამავე დანართის 19.1 მუხლთან და ჩანაცვლდეს ფორმულირებით - „ელექტრონული გადაცემები“. ამავე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. მხარეები გადახედავენ ამ მუხლს, ელექტრონული ვაჭრობის შესახებ სამუშაო პროგრამასთან დაკავშირებით, ვმო-ს მინისტრიალის ნებისმიერი შემდგომი გადაწყვეტილების გათვალისწინებით.

5. უფრო მეტი სიცხადისთვის, 1-4 პუნქტები ხელს არ უშლის მხარეს ელექტრონული გადაცემებისთვის შიდა გადასახადების, მოსაკრებლების ან სხვა გადასახადების დაწესებაში, იმ პირობით, რომ ასეთი შიდა გადასახადები, მოსაკრებლები ან გადასახდებები შეესაბამება ამ შეთანხმებას.“.

ამასთან, აღნიშნული ოქმის პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებების დაფინანსება უნდა განხორციელდეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი ასიგნებების გამოყოფის გარეშე.

გიორგი თინიკაშვილი



პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი  
იურიდიული დეპარტამენტი

<https://edoc.mof.ge/public#/20561-08-03-2-202603241520>





საქართველოს კონკურენციისა  
და მომხმარებლის  
დაცვის სააგენტო

N 02/1488  
02/03/2026

1488-01-2-202603021616



საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს  
საერთაშორისო სამართლებრივი დეპარტამენტის უფროსს  
ბატონ მიხეილ კვეცაძეს

ბატონო მიხეილ,

თქვენი 2026 წლის 26 თებერვლის № 01/6179 მომართვის პასუხად გაცნობებთ, რომ სსიპ საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს „საქართველოს მთავრობასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ“ შეთანხმებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე ოქმის პროექტსა და განმარტებით ბარათთან დაკავშირებით დამატებითი შენიშვნები ან/და მოსაზრებები არ გააჩნია.

პატივისცემით,


ირაკლი ლეჟინაძე

თავმჯდომარე

📍 დ. აღმაშენებლის გამზირი 154,  
0102 თბილისი, საქართველო  
☎ 15 20  
✉ info@gcca.gov.ge



www.gcca.gov.ge



საქართველოს ეროვნული ბანკი  
National Bank of Georgia

N 2-24/899  
09/03/2026

899-24-2-202603091635



საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს  
საერთაშორისო სამართლებრივი დეპარტამენტის უფროსს  
ბატონ მიხეილ კეკელიძეს

ბატონო მიხეილ,

თქვენი 2026 წლის 26 თებერვლის № 01/6179 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, განიხილა „საქართველოს მთავრობასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ“ შეთანხმებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე ოქმის პროექტი და განმარტებითი ბარათი. გაცნობებთ, რომ აღნიშნულ ოქმის პროექტთან დაკავშირებით საქართველოს ეროვნულ ბანკს არ აქვს შენიშვნები.

პატივისცემით,

გიორგი ედილაშვილი

დეპარტამენტის უფროსი  
საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი





საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური  
STATE SECURITY SERVICE OF GEORGIA



SSG 7 26 00079457



11/03/2026

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს  
საერთაშორისო სამართლებრივი დეპარტამენტის დირექტორს,  
ბატონ მიხეილ კვეენაძეს

ბატონო მიხეილ,

მიმდინარე წლის 26 თებერვლის №01/6179 წერილის პასუხად, რომელიც „საქართველოს მთავრობასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ“ შეთანხმებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე ოქმის პროექტს ეხება, გაცნობებთ, რომ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს აღნიშნული ოქმის პროექტის თაობაზე შენიშვნები და წინადადებები არ გააჩნია.

პატივისცემით,

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის  
ადმინისტრაციის უფროსი

ავთანდილ კუნჭულია





**ეკონომიკისა და მდგრადი  
განვითარების სამინისტრო**

27 / მარტი / 2026 წ.



№ 07/1987

საქართველოს საგარეო საქმეთა  
მინისტრის მოადგილეს  
ქალბატონ ხათუნა თოთლაძეს

ქალბატონო ხათუნა,

გიგზავნით „საქართველოს მთავრობასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ“ შეთანხმებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე ოქმის პროექტთან დაკავშირებით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შენიშვნებს და განობებთ, რომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია:

1. ოქმის პროექტის პრეამბულაში წაიშალოს სათაური „პრეამბულა“;
2. მე-5 მუხლის „ზოგადი დებულებები“ მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „წინამდებარე ოქმი ძალაში შევა 30 დღის შემდეგ, რაც მხარეები გაცვლიან ნერილობით შეტყობინებას დიპლომატიური არხების საშუალებით, ძალაში შესვლისთვის აუცილებელი შიდასამართლებრივი პროცედურების დასრულების შესახებ“;
3. მე-6 მუხლის „ავთენტური ტექსტები“, პირველი აბზაცის პირველი წინადადება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „წინამდებარე ოქმი შედგენილია ორ ეგზემპლარად ჩინურ, ქართულ და ინგლისურ ენებზე“;
4. მე-6 მუხლის „ავთენტური ტექსტები“, მე-3 აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „შესრულებულია, შესაბამისად, პეკინსა და თბილისში, 2026 წლის \_\_\_\_\_“;
5. ოქმის დანართი 1, თავი 5 (სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომები), მუხლის 5.13, პირველი პარაგრაფის (a) და (b) პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: "(a) საქართველოს შემთხვევაში, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სურსათის ეროვნული სააგენტო ან მისი მემკვიდრე; და (b) ჩინეთის შემთხვევაში, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საბაჟოების გენერალური ადმინისტრაცია ან მისი მემკვიდრე“;
6. ოქმის დანართი 1, თავი 6 (ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერები), მუხლში 6.11 (საკონტაქტო პირები), პირველი პარაგრაფის (a) პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ჩინეთისთვის, ბაზრის რეგულირების სახელმწიფო ადმინისტრაცია ან მისი მემკვიდრე“.

პატივისცემით,

მინისტრის მოადგილე

ხელმოწერილია/  
შტამპდასმულია  
ელექტრონულად

გენადი არველაძე